# შემოსავლების სამსახური

## ბრძანება №11227

„12" 12 2011 წელი თბილისი

შპს „ლიდერი 09"-ის (ს/ნ 231289557) მიმართ ვალდებულების დამდგენი დოკუმენტის საჯაროდ გავრცელების თაობაზე

საქართველოს საგადასახადო კოდექსის 44-ე მუხლის მე-6 ნაწილის და "გადასახადების ადმინისტრირების შესახებ" საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2010 წლის 31 დეკემბრის №996 ბრძანების მე-14 მუხლის საფუძველზე

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. ვინაიდან ვერ ხერხდება ამ შპს „ლიდერი 09"-ის (ს/ნ 231289557) მიმართ გამოცემული 2011წლის 29 ივლისის #049-16 "საგადასახადო მოთხოვნის" კოდექსით დადგენილი წესით ჩაბარება, აღნიშნულ დანართში მითითებული ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტების გადამხდელებისთვის საჯარო შეტყობინების მიზნით, განხორციელდეს მათი საჯაროდ გავრცელება.

2. საქართველოს ფინანსთა სამინისტროს ოფიციალურ ვებ-გვერდზე განთავსების მიზნით, შპს „ლიდერი 09"-ის (ს/ნ 231289557)"საგადასახადო მოთხოვნა" გადაეგზავნოს საჯარო სამართლის იურიდიულ პირს - საფინანსო ანალიტიკურ სამსახურს.

3. საინფორმაციო ტექნოლოგიების ცენტრმა უზრუნველყოს ზემოაღნიშნული "საგადასახადო მოთხოვნის" შემოსავლების სამსახურის ოფიციალურ ვებ-გვერდზე (www.rs.ge) გამოქვეყნება.

4. ბრძანება ამოქმედდეს ხელმოწერისთანავე.

სამსახურის უფროსი ჯამბულ ებანოიძე

დანართი №10

საქართველოს ფინანსთა სამინისტროს
შემოსავლების სამსახური

თბილისის რეგიონული ცენტრი ქ.თბილისი, გორგასლის ქ. N16

(საგადასახადო ინსპექციის დასახელება)

საგადასახადო მოთხოვნა№ 049 --- 16

29 ივლისი 2011
რიცხვი თვე წელი

გადამხდელის/საგადასახადო აგენტის ან სხვა ვალდებული პირის რეკვიზიტები

შპს ლიდერი 09

(გვარი,სახელი/დასახელება)

საიდენტიფიკაციო ნომერი 231289557 მოქალაქის პირადობის მოწმობის ნომერი

მისამართი თელავის რაიონში / სოფ.წინანდალი

საგადასახადო კოდექსის 61-ე მუხლის საფუძველზე, ბრძანება N№ 1443, თარიღი 29.07.2011

(მიუთითეთ საგადასახადო კანონმდებლობის ის ნორმა,რომლის საფუძველზეც მოხდა გადასახადის დარიცხვა)

გადასახდელად დაგერიცხათ:

| გადასახადის დასახელება | გადასახადის ძირითადი | ჯარიმა | საურავი | სულ | ექვემდებარება გადახდას | შენიშვნა |
|---|---|---|---|---|---|---|
| დღგ | 39750 | 13012 | 18701.46 | 71463.46 | | |
| მოგების გადასახადი | 31100 | 15550 | 15463.44 | 62113.44 | | |
| ქონების გადასახადი | 0 | 0 | 4.01 | 4.01 | | |
| სულ | 70850 | 28562 | 34168.91 | 133580.91 | | |

გადასახადის გადახდის ადგილი და წესი: საგადასახადო კოდექსის VIII თავის 53-ე მუხლის თანახმად

ამ მოთხოვნის შეუსრულებლობის შემთხვევაში თქვენს მიმართ გამოყენებული იქნება საგადასახადო კოდექსის 238-ე მუხლით გათვალისწინებული საგადასახადო ვალდებულებების შესრულების უზრუნველყოფის ღონისძიებები

თქვენი უფლებები და ვალდებულებები განსაზღვრულია საგადასახადო კოდექსის 41-ე და 43-ე მუხლით

"საგადასახადო მოთხოვნა" შეიძლება გასაჩივრდეს შემოსავლების სამსახურში საგადასახადო კოდექსის XIV კარით დადგენილი წესით "საგადასახადო მოთხოვნის" მიღებიდან 20 კალენდარული დღის ვადაში წერილობითი საჩივრის წარდგენის გზით ან სასამართლოში კანონმდებლობით დადგენილი წესით.

უფროსი/მოადგილე

ბ.ა.

1803988